

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

**კრებულში**

**СБОРНИК**


**ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ**

*Министерства просвещения Грузинской ССР*

7-8

თბილისი—აგვისტო

F 3061



საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკის  
სამეცნიერო განყოფილება  
საქართველოს ენების  
სამეცნიერო სამსახური  
საქართველოს ენების  
სამეცნიერო სამსახური

8-5

რედაქტორი უშ. თბოლაძე  
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 10 კპპ.

ბელმოწერული დასაბეჭდად №3/VIII-66 წ. ანაწყოების ზომა 6×9<sup>1</sup>/<sub>2</sub>,  
ქალაქის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 10,5.

ტირაჟი 5000.

უე—01573

შეკვ. № 925.

თბილისის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქუჩა № 19  
Тбилисская типография № 11, Ул. Чхеидзе № 19



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966  
წლის 18 ივნისის ბრძანება № 681

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური  
სპეციალური სპორტული საშუალო სკოლა-ინტერნატის დებულებ-  
ის დამტკიცების შესახებ

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
რესპუბლიკური სპეციალური სპორტული საშუალო სკოლა-ინ-  
ტერნატის დებულება.

2. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართვე-  
ლომ აღნიშნული დებულება დაიყვანოს სკოლა-ინტერნატამდე.

3. დებულება დაიბეჭდოს საქართველოს სსრ განათლების სა-  
მინისტროს სისტემის სკოლა-ინტერნატებისა და სპეციალური სკო-  
ლა-ინტერნატების დებულებებისა და შრომის შინაგანაწესების კრე-  
ბულში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
კოლეგიის 1966 წლის 17 ივნისის დადგენი-  
ლება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპეციალური სპორტული საშუალო სკოლა ინტერნატის

### რ ე ბ უ რ ე ბ ე

#### I. მიზნები და ამოცანები

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპეციალური სპორტული საშუალო სკოლა-ინტერნატი ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო აღმზრდელობითი დაწესებულებაა, რომელიც მოწოდებულია უფრო მაღალ დონეზე გადაწყვიტოს ყოველმხრივ განვითარებული, კომუნიზმის განათლებული მშენებლების, მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადება და მათი აღზრდა პატრიოტიზმისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

2. სპორტულ სკოლა-ინტერნატი უნდა შეიქმნას უფრო ხელსაყრელი პირობები მის წინაშე დასმული ამოცანების გადასაწყვეტად, როგორც სპორტული მომზადების, ისე საერთო კულტურისა და მორალური თვისებების აღზრდის საქმეში.

3. ამ ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად სპორტული სკოლა-ინტერნატი თავის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში თანმიმდევრულად ახორციელებს ლენინურ მოთხოვნას—სკოლის კავშირს ცხოვრებასთან.

#### II. გახსნის წესი

4. სპორტული საშუალო სკოლა-ინტერნატი გაიხსნება და დაიხურება საქართველოს სსრ რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე, სათანადო მატერიალური ბაზისა და მაღალი კვალიფიციური პედაგოგიური კადრების უზრუნველყოფის პირობებში.

5. სპორტული საშუალო სკოლა-ინტერნატი იმყოფება საქართველოს სსრ რესპუბლიკის განათლების სამინისტროს გამგებლო-

ბაში. სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის რესპუბლიკური საბჭო სკოლა-ინტერნატს უწევს დახმარებას მწვრთნელ-მასწავლებელთა კადრების შერჩევასა და სპორტული ინვენტარის შექმნაში.

6. სპორტული საშუალო სკოლა-ინტერნატი მიემაგრება ფიზკულტურულ სასწავლო დაწესებულებებს, სამრეწველო საწარმოთა სპორტულ კლუბებს, რომლებიც გაუწივეს დახმარებას სპორტული ბაზებითა და ინვენტარით უზრუნველყოფის საქმეში. სპორტულ სკოლა-ინტერნატს ნება ეძლევა შეჯიბრებაში გამოვიდეს იმ ორგანიზაციის სახელით, რომელიც მას უწევს მატერიალურ დახმარებას.

7. სპორტული საშუალო სკოლა-ინტერნატის შემადგენლობაშია პირველი მეთე კლასები. იქ სწავლობენ და იზრდებიან ორივე სქესის ბავშვები 7-დან 18 წლამდე. მიღების დაწყებითი ასაკი ზუსტდება სპორტის შერჩეული სახის მიხედვით. მე-9-10 კლასების არსებობა სპორტულ სკოლა-ინტერნატში განპირობებულია ამ სასწავლო დაწესებულების სპეციფიკური პირობებით.

8. სპორტული სკოლა-ინტერნატი უნდა გაიხსნას ბავშვების ჯანმრთელობისათვის ხელსაყრელ ადგილებში და მას უნდა ჰქონდეს სასწავლო და საცხოვრებელი შენობები, კვების ბლოკი და სკოლის სპეციალიზაციისათვის შესაფერისი სპორტულ ნაგებობათა სრული კომპლექსი.

სასწავლო შენობებში უნდა შედიოდეს: საკლასო ოთახები, სასწავლო კაბინეტები, სპორტის სპეციალიზებულ სახეობათა მიხედვით. აუცილებელია აგრეთვე მეთოდური კაბინეტი კინოგრაფებისა (თვალსაჩინო ხელსაწყოთა გასაცნობად) სააქტო და სპორტული დარბაზი (ტანსაცმელის გასახდევლებითა და საშხაპეებით).

საცხოვრებელ შენობებში უნდა იყოს საძინებელი ოთახები, იზოლატორი, უფროსი აღმზრდელის ოთახი, პირსაბანი და სააბაზანო-საშხაპე ოთახები.

სპორტულ სკოლა-ინტერნატს უნდა ჰქონდეს თავისი საზაფხულო ბანაკი სპორტული მეცადინეობისათვის საჭირო მოწყობილობით.

### III. მიღების წესი

9. ბავშვთა ჩარიცხვა სპორტულ სკოლა-ინტერნატში ხდება მხოლოდ მშობლების ან მათი შემცველი პირების სურვილით.



10. სპორტულ სკოლა-ინტერნატში მიიღებიან ბავშვები რომლებმაც ნიჭი გამოავლინეს სპორტის გარკვეულ სახეობაში და შესასვლელი გამოცდები ჩააბარეს სპეციალური ნორმატივების მიხედვით (შესასვლელი გამოცდების პროგრამა შედგება სპორტის იმ სახის გათვალისწინებით, რომლითაც უნდა მოხდეს სრულყოფა).

ბავშვები, რომლებმაც წარმატებას ვერ მიაღწიეს სპორტული სრულყოფისათვის მეცადინეობის პროცესში, სკოლებს უბრუნდებიან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გადაწყვეტილება მოსწავლეთა სპორტულ სკოლა ინტერნატიდან გადაყვანის შესახებ გამოაქვს მწვრთნელთა საბჭოს საკონტროლო გამოცდების საფუძველზე, რომლებიც ტარდება წელიწადში ორჯერ.

11. სპორტულ სკოლა-ინტერნატში მუდმივად მცხოვრებ მოსწავლეებთან ერთად შეუძლიათ ისწავლონ აგრეთვე ოჯახებიდან მოსიარულე ბავშვებმა.

12. განცხადებების მიღება სპორტულ სკოლა-ინტერნატში ბავშვების ჩარიცხვის შესახებ წარმოებს 1 ივნისიდან 25 აგვისტომდე.

13. სპორტული სკოლა-ინტერნატის დაკომპლექტებისათვის განათლების სამინისტრო გამოყოფს სპეციალურ კომისიას სკოლა-ინტერნატის დირექტორის თავმჯდომარეობით და სკოლა-ინტერნატის მუშაკების შემადგენლობით.

14. მშობლები, რომლებმაც თავიანთი ბავშვები მოათავსეს სპორტულ სკოლა-ინტერნატში, პედაგოგიურ კოლექტივს უნდა დაეხმარონ მათი აღზრდის საქმეში და უზრუნველყონ ბავშვების სწორი აღზრდა მათი ოჯახში ყოფნის დროს.

მშობლების ან მათი შემცვლელი პირების თხოვნით დირექტორს შეუძლია აღსაზრდელების შინ გაშვება კვირა და უქმე დღეებში.

**IV. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია**

15. სპორტული სკოლა-ინტერნატი იძლევა ზოგად საშუალო განათლებას გაღრმავებული ცოდნით ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლების მეთოდის დარგში.

მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სპორტულ სკოლა-ინტერნატში მიზნად უნდა ისახავდეს ყოველმხრივ განვითარებული, კომუნიზმის განათლებული მშენებლების, მაღალი კლასის



სპორტსმენების მომზადებასა და აღზრდას პატრიოტიზმისა და მშობლიურ მიწისათვის უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

16. სპორტული სკოლა-ინტერნატის შემადგენლობაშია არა უმეტეს 4 განყოფილება და სპორტის სახეობათა მიხედვით. სპეციალიზაცია განისაზღვრება განათლების სამინისტროს მიერ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებლობების გათვალისწინებით.

17. სწავლება ტარდება აღსაზრდელთა მშობლიურ ენაზე განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირთან შეთანხმებული სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით (ცვლილებები არსებულ პროგრამებში შეიტანება „ანატომია და ფიზიოლოგიაში“ და „ფიზიკურ კულტურაში“ სპორტული სკოლა-ინტერნატის სპეციფიკის შესაბამისად).

18. მოსწავლეთა რაოდენობა კლასში და აღსაზრდელთა რაოდენობა ჯგუფში წესდება მე-5-8 კლასებში 35, ხოლო მე-9-10 კლასებში—30 მოსწავლემდე. შრომასა და უცხო ენაში მეცადინეობისას აღსაზრდელები გაიყოფიან ორ ქვეჯგუფად და მეცადინეობას ატარებს ორი სპეციალისტი მასწავლებელი. სპორტული სრულყოფის ჯგუფების რაოდენობა და კონტინგენტი წესდება მოქმედი ნორმების მიხედვით.

19. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა ინდივიდუალური უნარისა და ნიჭის განვითარებას, როგორც სასწავლო მუშაობის პროცესში, ისე სხვადასხვაგვარი კლასგარეშე მუშაობის პროცესშიც.

20. ფიზიკურ აღზრდას სპორტულ სკოლა-ინტერნატის სპეციფიკასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ინტერნატში ის ხორციელდება შემდეგი გზით: დღის რეჟიმის სწორი ორგანიზაცია, რაციონალური კვება, ჰიგიენური ჩვევების დანერგვა აღსაზრდელებში, ყოველდღიური დილის სპეციალიზებული ვარჯიში, წყლის პროცედურები და ორგანიზმის წართობა, სპორტული სრულყოფისათვის მეცადინეობა, ყველაფერი ეს გაერთიანებულია მრავალი წლის მანძილზე მალაკვალიფიციური სპორტსმენების სისტემატური მომზადების ერთიან სისტემაში.

21. სპორტული სრულყოფისათვის მეცადინეობა უნდა მივიჩნიოთ, როგორც სრულყოფილებიანი საგანი სკოლის საერთო პროგრამაში.

სპორტული სრულყოფისათვის მეცადინეობის საერთო მოცუ-



ლობა არ უნდა აღემატებოდეს 15 საათს კვირაში მოსწავლეების ასაკობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით

სასწავლო ცხრილის შედგენისას საჭიროა დაცულ იქნეს შენაკვლება საგნებისა, რომლებიც მოითხოვენ გონებრივ და ფიზიკურ აქტივობას.

22. სპორტული სკოლა-ინტერნატის დირექტორი ამტკიცებს შინაგანაწესსა და დღის რეჟიმს, რომელიც უზრუნველყოფს აღსაზრდელთა სწავლის, შრომისა და დასვენების სწორ შეხამებას.

23. სასწავლო მეცადინეობა იწყება 1 სექტემბერს და მთავრდება იმ ვადებში, რაც განათლების სამინისტროს მიერ არის დაწესებული ყველა სკოლისათვის.

24. აღსაზრდელთა ფიზიკური დატვირთვის შედარებით დიდ მოცულობასთან დაკავშირებით აღსაზრდელთა კვება წარმოებს გადიდებული ნორმებით.

25. ზაფხულის პერიოდში სპორტული სკოლა-ინტერნატი აწყობს სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკს, რომელიც აუცილებელ რგოლს წარმოადგენს მთელი წლის უწყვეტ საწვრთნელ პროცესში. ბანაკში ყოფნის ხანგრძლიობაა 45 დღე.

26. სპორტული სკოლა ინტერნატის კურსდამთავრებულებს ეძლევათ სიმწიფის ატესტატი. კურსდამთავრებულები, უმაღლეს ან საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ეწყობიან საერთო წესით.

### V. კოლექტივის ორგანიზაცია

27. სპორტული სკოლა-ინტერნატის ყველა აღსაზრდელი წარმოადგენს ერთიან კოლექტივს, რომელიც ყოველმხრივ აქტიურად მონაწილეობს სკოლის მთელ ცხოვრებაში.

28. სპორტული სკოლა-ინტერნატის კომკავშირული ორგანიზაცია იქმნება და მუშაობს სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის წესდების საფუძველზე.

პიონერული რაზმეული იქმნება და მუშაობს ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩი პიონერების ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის დებულების საფუძველზე.

### VI თანამდებობის პირები

29. მუშაკთა შტატები და ხელფასის განაკვეთები განისაზღვრება სკოლა-ინტერნატებისათვის დაწესებული ტიპიური შტატე-

ბის შესაბამისად, სპორტული და სხვა მუშაობის ნაწილში დამატებების შეტანით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულების თანახმად.

30. სპორტული სკოლა-ინტერნატის დირექტორად ინიშნება საუკეთესო პედაგოგთაგანი ორგანიზატორული ნიჭითა და უმაღლესი პედაგოგიური განათლებით. დირექტორი პასუხისმგებელია მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად დაყენებისათვის, აღსაზრდელთა სპორტული სრულყოფისა და ჯანმრთელობისათვის, სკოლა-ინტერნატის სამეურნეო მდგომარეობისათვის.

დირექტორი ახორციელებს სკოლა-ინტერნატის მთელი საქმიანობის ხელმძღვანელობას ერთმმართველობის პრინციპის საფუძველზე სკოლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე დაყრდნობით. დირექტორის განკარგულებანი სავალდებულოა სკოლა-ინტერნატის ყველა მუშაკისათვის.

დირექტორს უფლება ეძლევა ესა თუ ის ცვლილება შეიტანოს სკოლა-ინტერნატის მუშაკებს შორის მოვალეობათა განაწილებაში შტატისა და ხელფასის ფონდის გადიდების გარეშე.

დირექტორს შეუძლია აწარმოოს სასწავლო მეცადინეობა სკოლა-ინტერნატში არსებული ინსტრუქციით დაწესებული ოდენობით.

31. დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში ინიშნება იმ პირთაგან, რომელსაც აქვს უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება, და რომელმაც თავი გამოიჩინა კარგ ორგანიზატორად და მეთოდისტად.

მოადგილე უშუალოდ ხელმძღვანელობს სასწავლო და მეთოდურ მუშაობას და დირექტორის წინაშე პასუხისმგებელია ამ მუშაობის დაყენებისათვის.

დირექტორის მოადგილეს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში შეუძლია აწარმოოს სასწავლო მეცადინეობა სკოლა-ინტერნატში არსებული ინსტრუქციით დაწესებული ოდენობით.

32. დირექტორის მოადგილე სპორტულ დარგში ინიშნება იმ პირთაგან, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი სპეციალური პედაგოგიური განათლება, გააჩნია ბავშვებთან საწვრთნელი მუშაობის გამოცდილება და რომელმაც თავი გამოიჩინა კარგ ორგანიზატორად და მეთოდისტად.



დირექტორის მოადგილე სპორტულ დარგში ხელმძღვანელობს ადსაზრდელთა სპორტული მომზადების მთელ პროცესს და დირექტორის წინაშე პასუხისმგებელია მუშაობის ამ ნაწილის შედეგებზე, ის წარმოადგენს პასუხისმგებელ პირს სპორტული სკოლა-ინტერნატის მწვრთნელ-პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

დირექტორის მოადგილე სპორტულ დარგში თავმჯდომარეობს სპორტული სკოლა-ინტერნატის მწვრთნელთა საბჭოს. მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევა დირექტორის დამტკიცების შემდეგ.

დირექტორის მოადგილეს სპორტულ დარგში უფლება ეძლევა აწარმოოს სასწავლო მეცადინეობა სპორტული სრულყოფის კურსით არა უმეტეს 12 საათისა კვირაში.

33. მასწავლებლები და აღმზრდელები შეირჩევიან საუკეთესო მასწავლებელთა რიცხვიდან, რომლებმაც კარგად იციან ბავშვთა ფსიქოლოგია, მათი ფიზიოლოგიური ასაკობრივი თავისებურებანი, შესწევთ უნარი—ბავშვებისადმი ყურადღება და სიყვარული შეუხამონ გონივრულ მომთხოვნელობას და პირადი მაგალითით მოახდინონ მათზე დადებითი გავლენა.

34. სპორტული სკოლა-ინტერნატის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი პედაგოგიური განათლება.

მასწავლებელი პასუხისმგებელია მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ხარისხისათვის, სასწავლო გეგმისა და იმ საგნების პროგრამების დროულად შესრულებისათვის, რომლებსაც ის ასწავლის და მისთვის მინდობილი კლასგარეშე აღმზრდელობითი მუშაობისათვის.

35. სპორტული სრულყოფის მწვრთნელ-პედაგოგს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოცემული სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების სპეციფიკასთან დაკავშირებით. სპორტული სრულყოფის პროგრამის უშუალო შემსრულებელი ის არის თავის კლასში. მწვრთნელი-პედაგოგი შეირჩევა სპორტის მოცემულ სახეში ბავშვებთან მუშაობის საუკეთესო სპეციალისტთა რიცხვიდან, რომლებსაც აქვთ პედაგოგიური მუშაობის სტაჟი და გამოცდილება.

მწვრთნელ-პედაგოგს ნიშნავს განათლების სამინისტრო სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს რეკომენდაციითა და სკოლის დირექტორის წარდგენით.

სპორტის მოცემულ სახეობაში მომუშავე მწვრთნელ-პედაგოგთა რიცხვიდან ინიშნება უფროსი მწვრთნელი-პედაგოგი, რომე-



ლიც პასუხისმგებელია სპორტული სრულყოფის მუშაობის დაყენებისათვის.

სამტატო მწვრთნელ-პედაგოგთა რაოდენობა განისაზღვრება სასწავლო დატვირთვის მიხედვით თვეში 100 საათის რაოდენობით.

36. უფროს აღმზრდელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი სპეციალური პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ 5 წლისა. უფროსი აღმზრდელი პასუხისმგებელია აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციისათვის ინტერნატში, დღის რეჟიმისა და შინაგანაწესის, ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის, აგრეთვე ესმარება დირექტორის მოადგილეს სპორტულ დარგში სპორტული მუშაობის ორგანიზაციასა და წარმოებაში.

37. აღმზრდელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი პედაგოგიური განათლება. აღმზრდელები შეირჩევიან იმ ანგარიშით, რომ თითოეულ მათგანს შეეძლოს კლასგარეშე მუშაობის რაიმე სახის (ხატვა, სიმღერა, მუსიკა) ხელმძღვანელობა.

აღმზრდელი ყოველდღიურად ატარებს აღმზრდელობითს მუშაობას ბავშვებთან, ჯგუფში აწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას სასწავლო მეცადინეობისათვის მოსამზადებლად, აღსაზრდელთა აქტიური მონაწილეობით ატარებს სხვადასხვაგვარ კლასგარეშე ღონისძიებებს, უზრუნველყოფს დაწესებულ წესისა და დღის რეჟიმის დაცვას მოსწავლეთა მიერ, აღსაზრდელთა მოცემულ ჯგუფზე რიცხულ მატერიალურ ფასეულობათა და მოწყობილობის სწორად გამოყენებასა და მოვლა-პატრონობას. აღმზრდელს უფლება აქვს აწარმოოს სასწავლო მეცადინეობა სკოლა-ინტერნატში არსებული ინსტრუქციით დაწესებული ოდენობით.

38. დირექტორის თანაშემწე სამეურნეო დარგში პასუხისმგებელია სკოლა-ინტერნატის მეურნეობის მდგომარეობისათვის, აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მატერიალური უზრუნველყოფისათვის, შენობათა და ნაგებობათა ნორმალური ექსპლოატაციისა და მათი სათანადო სანიტარულ მდგომარეობაში ყოფნისათვის.

39. სპორტული სკოლა-ინტერნატის სამედიცინო ნაწილი უშუალო მონაწილეობას ღებულობს სპორტული სრულყოფის მუშაობის ორგანიზაციასა და კონტროლში.



სამედიცინო ნაწილს უნდა ჰქონდეს საჭირო მოწყობილობა ფიზიკური მომზადების მდგომარეობის დასადგენად, აღსაზრდელთა მკურნალობისა და ტრავმის პროფილაქტიკისათვის.

ექიმებსა და ექთანებს ჯანმრთელობის სამინისტროსთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატის დირექტორის წარდგენით. ექიმი მუშაობს მწვრთნელ-პედაგოგთან ჭიდრო კონტაქტში.

40. სპორტულ ნაგებობათა და ინვენტარის გამგე უზრუნველყოფს ამ ნაგებობათ (სპორტმოედნები, დარბაზი), ნორმალურ, შეუფერხებელ მუშაობას და ინვენტარის (ტანვარჯიშული იარაღები, ბურთები, მძლეოსნური იარაღი) წესიერ მდგომარეობაში ყოფნას.

41. კაბინეტების გამგებლობას დირექტორი აკისრებს სათანადო სპეციალობის მქონე უფრო გამოცდილ მასწავლებლებს.

კაბინეტების გამგეები პასუხისმგებელნი არიან კაბინეტების მოწყობისა და მათი მუშაობის სწორი ორგანიზაციისათვის.

42. უფროს პიონერხელმძღვანელს ნიშნავს სკოლა ინტერნატის დირექტორი საქართველოს აღკვ რაიონულ კომიტეტთან შეთანხმებით.

უფროსი პიონერხელმძღვანელი სათავეში უდგას პიონერული რაზმეულის საქმიანობას პიონერული მუშაობის გეგმის საფუძველზე, რომელიც შედგენილია სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური კოლექტივის მიერ ჩასატარებელი მუშაობის გათვალისწინებით.

43. ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს სკოლა-ინტერნატის ბიბლიოთეკის შევსებას საჭირო ლიტერატურით, აღსაზრდელებისა და პედაგოგიური პერსონალის მომსახურებას ამ ლიტერატურით, ეწევა მუშაობას კლასგარეშე კითხვისათვის.

44. სპორტული სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელ და პედაგოგიურ პერსონალს ნიშნავს განათლების სამინისტრო დირექტორის წარდგენით, დანარჩენ მუშაკებს კი - თვით დირექტორი.

45. ბუღალტერი აწარმოებს მატერიალურ-ფინანსურ აღრიცხვას, ანგარიშგებას და დირექტორის თანაბრადაა პასუხისმგებელი ფულადი სახსრების სწორად ხარჯვისა და მატერიალურ-ფინანსურ ანგარიშგების მდგომარეობისათვის.

**VII. პედაგოგიური და მწვრთნელთა საბჭოები**

46. სპორტულ სკოლა-ინტერნატში ყალიბდება პედაგოგიური საბჭო. მის შემადგენლობაში შედიან: დირექტორი (თავმჯდომარე),



დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში, დირექტორის მოადგილე სპორტულ დარგში, მწვრთნელი პედაგოგები, უფროსი პიონერხელმძღვანელი, უფროსი აღმზრდელი, აღმზრდელები, სპორტნაგებობათა გამგე, დირექტორის თანაშემწე სამეურნეო დარგში, ბიბლიოთეკარი და ექიმი.

საბჭოს გადაწყვეტილებანი ძალაში შედის დირექტორის მეორე დამტკიცების შემდეგ.

47. მწვრთნელთა საბჭოში შედიან: დირექტორის მოადგილე სპორტულ დარგში (თავმჯდომარე) და მწვრთნელი-პედაგოგები.

მწვრთნელთა საბჭო წყვეტს სასწავლო-საწვრთნელი პროცესის დაგეგმვის საკითხებს, აგრეთვე აღმზრდელობით საკითხებს.

### IX. დაფინანსება და ანგარიშგება

48. სპორტული სკოლა-ინტერნატი ფინანსდება რესპუბლიკური ბიუჯეტით.

49. სპორტული სკოლა-ინტერნატი სარგებლობს იურხდიული პირის უფლებებით, აქვს ბეჭედი რესპუბლიკის სახელმწიფო გერბით და შტამპი სკოლა-ინტერნატის ადგილსამყოფელის ჩვენებით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966  
წლის 18 ივნისის ბრძანება № 682

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საბავშვო  
სახლის დებულების დამტკიცების შესახებ

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
სისტემის საბავშვო სახლის დებულება.

2. დაევალოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების  
სამმართველოს დებულება დაიყვანოს თითოეულ საბავშვო სახ-  
ლამდე.

3. დებულება დაიბეჭდოს საქართველოს სსრ განათლების სა-  
მინისტროს სისტემის სკოლა-ინტერნატების და სპეციალური სკო-  
ლა-ინტერნატების დებულებებისა და შრომითი შინაგანაწესების  
კრებულში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
კოლეგიის 1966 წლის 17 ივნისის დადგენი-  
ლება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა  
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
განათლების მეთოდური განყოფილების მიერ 1966 წლის  
17 ივნისი, ოქმი № 15

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
სისტემის საბავშვო სახლის**

**რ ე ბ უ ლ ე ბ ა**

თ ა ვ ი

**ზოგადი დებულებები**

1. საბავშვო სახლი არის სახელმწიფო აღმზრდელობითი დაწესებულება.

2. საბავშვო სახლი ახორციელებს სკოლამდელ და სკოლის ასაკის ბავშვთა კომუნისტურ აღზრდას, ამზადებს რა ყოველმხრივ განვითარებულ, პრაქტიკული საქმიანობისათვის მომზადებულ, დისციპლინიან, სოციალისტური სამშობლოს უსაზღვროდ ერთგულ, კომუნისტური საზოგადოების მომავალ მშენებლებს.

3. საბავშვო სახლების ძირითადი ტიპებია:

ა) სკოლამდელი ასაკის საბავშვო სახლი;

ბ) სკოლის ასაკის საბავშვო სახლი;

გ) შერეული ტიპის ასაკის საბავშვო სახლი.

შენიშვნა: ნათესაურ კავშირში მყოფი ბავშვები (ძმები, დები) თავსდებიან ერთ საბავშვო სახლში მათი ასაკის მიუხედავად.

4. საბავშვო სახლი არსდება და უქმდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სახალხო მეურნეობის გეგმის შესაბამისად.

საბავშვო სახლს დაერქმევა იმ სოფლისა და ქალაქის სახელით, რომელშიაც ის იმყოფება. ქალაქებში, ან სოფლებში, სადაც რამდენიმე საბავშვო სახლია, თითოეულ მათგანს მიეკუთვნება რიგითი ნომერი.

თითოეულ საბავშვო სახლში სკოლის ასაკის ბავშვთათვის გარდა საყოფაცხოვრებო სათავსოებისა უნდა იყოს სამეცადინო ოთახები, პიონერთა ოთახი, სასწავლო სახელოსნოები, სასპორტო მოედანი და საცდელი ნაკვეთი.

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლის ეზოში უნდა მოეწყოს სათამაშო მოედანი.

ყველა ტიპის საბავშვო სახლთან უნდა მოეწყოს დამხმარე მეურნეობა, რომელიც იმუშავებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

5. საბავშვო სახლს ინახავს სახელმწიფო. ის იმყოფება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებისა და სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა ბიუჯეტზე.

6. საბავშვო სახლში ბავშვთა კონტინგენტს აწესებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო თითოეული აღსაზრდელისათვის დამტკიცებული სანიტარულ ჰიგიენური ნორმების სავალდებულო დაცვით, მაგრამ არა ნაკლებ 60 კაცისა სკოლის ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლში და არა ნაკლებ 50 კაცისა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლში.

თ ა ვ ი II

აღსაზრდელთა მიღება და გამოშვება

7. საბავშვო სახლში მიიღებიან:

- ა) ბავშვები, რომელთაც არ ჰყავთ მშობლები, ან გაწყვეტილი აქვთ მათთან კავშირი;
- ბ) ბავშვები, რომელთაც ოჯახში არ აქვთ აღზრდისათვის აუცილებელი პირობები (მშობლების ავადმყოფობა, მათთვის მშობლის უფლების ჩამორთმევა და სხვა მიზეზები);



გ) ბავშვები მარტოხელა დედებისა, რომელთაც სურთ თავი-  
ანთი შვილები მოათავსონ საბავშვო სახლში.

8. საბავშვო სახლში მიიღებიან ბავშვები 3—17 წლის ასა-  
კამდე (ჩათვლით).

9. საბავშვო სახლში ბავშვები მიიღებიან მოსახლეობიდან,  
ბავშვთა სახლებიდან და ბავშვთა მიმღებ-განმანაწილებლებიდან. სა-  
ბავშვო სახლში ბავშვების მიღებას აწარმოებს ბავშვთა სახლის დი-  
რექტორი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზურიით,  
რომელიც გაიცემა მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალა-  
ქო) საბჭოს აღმასკომთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების  
კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. გადაწყვეტილებას თან  
უნდა დაერთოს:

ა) დაბადების მოწმობა, გაცემული მმაჩის, სოფლის ან სადა-  
ბო საბჭოს მიერ (გამონაკლისის სახით შეიძლება წარდგენილ იქნეს  
საექიმო კომისიის დასკვნა ბავშვის ასაკის შესახებ);

ბ) ჯანმრთელობის ცნობა ანალიზების დართვით სამედიცინო  
შემოწმების შესახებ (სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს  
ინსტრუქციის შესაბამისად);

გ) განათლების ცნობა სკოლიდან (სკოლის ასაკის ბავშვთა-  
თვის);

დ) ცნობა მშობლების ან ახლო ნათესავების შესახებ;

ე) ბავშვის ქონების (თუ ასეთი მოეპოვება) აღწერილობა აღ-  
ნიშნით, თუ სად არის ქონება და როგორი ზომებია მიღებული  
მის დასაცავად;

ვ) საპენსიო წიგნაკები იმ ბავშვებისა, რომლებიც იღებდნენ  
პენსიას საბავშვო სახლში შემოსვლამდე; სახალხო სასამართლოს  
გადაწყვეტილების ასლი აღიშენების მიღების შესახებ ბავშვზე.

10. აღსაზრდელების გადაყვანა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა  
საბავშვო სახლში წარმოებს 1-ლი აგვისტოდან 30 აგვისტომდე,  
ხოლო ჩვილ ბავშვთა სახლებიდან სკოლამდელი ასაკის საბავშვო  
სახლში 1-ლი აგვისტოდან 1 ოქტომბრამდე.

11. ფსიქიურად ავადმყოფი და ნერვებდაავადებული ბავშ-  
ვები, გონებით ჩამორჩენილები, ყრუ-მუნჯები, სმენაჩლუნგები, ინ-  
ვალიდები, რომლებიც საჭიროებენ აღზრდიას და სწავლების გან-  
საკუთრებულ პირობებს ან განსაკუთრებულ მოვლას, საქართველოს  
სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საერთო ტიპის საბავშვო



სახლებში არ მიიღებიან. ისინი იგზავნიან სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების სათანადო დაწესებულებებში.

12. საბავშვო ს.ხლში ინტექციურ დაავადებათა შეტანის თავიდან ასაცილებლად, ყველა ახალმიღებული აღსაზრდელი გაივლის საბავშვო სახლში დაწესებულ კარანტინის იზოლირებულ ბინაში.

საბავშვო სახლიდან აღსაზრდელთა გაყვანას აწარმოებს საბავშვო სახლის დირექტორი მშრომელთა დებუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გადაწყვეტილების სფუძველზე;

13. საბავშვო სახლის აღსაზრდელთა გამოშვებას ახდენს დირექტორი პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

14. საბავშვო სახლიდან გამოსაშვები აღსაზრდელები (ასაკს მიღწეულები ან საშუალო სკოლა-დამთავრებულები) იგზავნიან სამუშაოდ სახალხო მეურნეობაში, აგრეთვე ტექნიკურ, სამშენებლო და სამთო-სამრეწველო სკოლებში, სუგორიველთა და ნახიმოველთა სასწავლებლებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.

საბავშვო სახლიდან გამოიშვებიან:

- ა) აღსაზრდელები, რომელთაც მიაღწიეს 18 წლის ასაკს;
- ბ) აღსაზრდელები, რომელთაც დაამთავრეს საშუალო სკოლა ან საშუალო სპეციალური სასწავლებელი;
- გ) აღსაზრდელები, რომლებიც ბარდებიან მშობლებს ან ახლო ნათესაებს, მშობლებს მშრომელთა ოჯახებიდან ან გადაეცემიან პატრონატზე ან მზრუნველებზე.

აღსაზრდელთა გამოშვება, როგორც წესი, ხდება სასწ. წლის დამთავრების შემდეგ.

15. საბავშვო სახლი ახდენს აღსაზრდელთა ჩაბარებას მშობლებს ან ახლო ნათესავებზე. შემდგომი აღზრდისათვის, აგრეთვე გაშვილებას მშრომელთა ოჯახებში ან პატრონატსა და მეურვეობის ქვეშ გადაცემას.

16. საბავშვო სახლებიდან აღსაზრდელებს ეძლევათ შემდეგი დოკუმენტება:

- ა) დაბადების მოწმობა;
- ბ) 16 წლის ასაკს მიღწეულ აღსაზრდელებს პასპორტი;
- გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
- დ) ცნობა საბავშვო სახლში ყოფნის შესახებ;

ე) მოწმობა ან ცნობა სასწავლებლიდან-განათლებისა და მიღებული პროფესიის შესახებ;

ვ) მშობელთა საპენსიო წიგნაკი, სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი ალიმენტის დანიშვნის შესახებ, ქონების აღწერილობა, თუ ასეთი ჰქონდა აღსაზრდელს.

17. სასწავლებელში შეისვლელ ან სამუშაოზე მოსაწყობ აღსაზრდელებს საბავშვო სახლი უზრუნველყოფს ტანისამოსით, ერთი ხელი ლოგინით და ფულადი დახმარებით დაწესებული ნორმების მიხედვით.

მშობლებზე გადაცემულ აღსაზრდელებს ეძლევათ ერთი ხელი (სეზონის მიხედვით) ტანისამოსი, ფეხსაცმელი და საცვლები.

### თ ა ვ ი III

#### ბავშვთა აღზრდა საბავშვო სახლში

18. სკოლის ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლი:

ა) უზრუნველყოფს აღსაზრდელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას, ჰქმნის ხელსაყრელ პირობებს მათი ყოველმხრივი განვითარებისა და შრომითი პოლიტექნიკური აღზრდისათვის, აწყობს სახელოსნოებს და სხვა;

ბ) უზრუნველყოფს ყველა ბავშვის სწავლებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში და ეხმარება სკოლას აღსაზრდელთა წარმატებით სწავლაში; სისტემატურად ატარებს ბავშვებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითსა და კულტურულ-მასობრივ მუშაობას, აბამს ბავშვებს საზოგადოებრივ მუშაობაში;

გ) ახორციელებს ბავშვთა სისტემატურ შრომით აღზრდას მათი ასაკის შესაბამისად, ზრდის მათში შრომისადმი პატივისცემას და სიყვარულს, ნერვებს მათში ცხოვრებისათვის აუცილებელ ჩვევებს და ამით ამზადებს ბავშვებს დამოუკიდებელი ცხოვრებისა და შრომითი მოღვაწეობისათვის. საბავშვო სახლში შრომითი აღზრდა ტარდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის საფუძველზე;

დ) ზრდის ბავშვებში მზრუნველობით დამოკიდებულებას სოციალისტური საკუთრებისადმი, დისციპლინიანობას, ორგანიზებულობას, ამხანაგობისა და მეგობრობის გრძნობას, სიძნელეთა დაძლევის უნარს, უზრუნველყოფს მოსწავლეთა წესების შესრულებას აღსაზრდელთა მიერ.

საბავშვო სახლი სასწავლო-სააღმზრდელი მუშაობის წველა  
საკითხს წყვეტს იმ სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან მჭიდრო  
კავშირში, რომელშიაც საბავშვო სახლის აღსაზრდელები სწავლო-  
ბენ.

19. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლი უზრუნ-  
ველყოფს აღსაზრდელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას,  
პიგიურ ჩვევების გამომუშავებას, სწორი მეტყველების განვითა-  
რებას და ბავშვთა მომზადებას სკოლაში სწავლისათვის. სკო-  
ლამდელი ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლში აღმზრდელობითი მუ-  
შაობა ბავშვებთან ტარდება საქართველოს სსრ განათლების სამი-  
ნისტროს პროგრამულ-მეთოდური მითითებების (საბავშვო ბაღების  
მუშაობის შესახებ) შესაბამისად.

20. საბავშვო სახლების აღსაზრდელები დაიყოფიან ჯგუფ-  
ებად. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჯგუფების დაკომპლექტება  
ხდება ასაკის მიხედვით 25 ბავშვის რაოდენობით თითოეულ ჯგუფ-  
ში, სკოლის ასაკის ბავშვთა ჯგუფები დაკომპლექტდება 30—40  
ბავშვის რაოდენობით, იმ აღსაზრდელებისაგან, რომელნიც სწავლო-  
ბენ მოსახლვრე კლასებში.

თითოეული ჯგუფისათვის განსაზღვრულია აღმზრდელი.

21. საბავშვო სახლში შემოღებული უნდა იქნეს დღის რეჟიმი  
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ საბავშვო სახ-  
ლისათვის დამტკიცებული ტიპური რეჟიმის შესაბამისად.

22. სკოლის ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლის აღსაზრდელები  
ვალდებულნი არიან:

- ა) განუხრელად შეასრულონ „წესები მოსწავლისათვის“;
- ბ) ბეჯითად ისწავლონ სკოლაში;
- გ) ზუსტად და წესიერად შე სრულონ დავალებული სამუშაო-  
ები სახელოსნოში, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთზე და საყოფაცხოვ-  
რებო მომსახურების სახით;
- დ) შეასრულონ დირექტორის ყველა განკარგულება, პედაგო-  
გებისა, სამედიცინო და მომსახურე პერსონალის ყველა მითითება;
- ე) დაიცვან საბავშვო სახლის ქონება და პირადი სარგებლო-  
ბის ნივთები;
- ვ) დაიცვან სისუფთავე და წესრიგი საბავშვო სახლში, საზო-  
გადოებრივ ადგილებსა და ქუჩაში.

23. საბავშვო სახლში აღსაზრდელთათვის შემოღებულია შემ-  
დეგი წამახალისებელი ღონისძიებანი:



ა) ქება კოლექტივის, აღმზრდელის, დირექტორის მოადგილისა სასწავლო სააღმზრდელო დარგში და დირექტორის მიერ;

ბ) საბავშვო სახლის დირექტორის წერილობითი მადლობა, რომელიც ცხადდება აღსაზრდელთა ჯგუფის ან საერთო კრების წინაშე;

გ) დაჯილდოება საჩუქრებით (წიგნი, მაგიდის სათამაშო და სხვ.).

24. დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში ცალკეული აღსაზრდელის მიმართ შეიძლება მიღებულ იქნეს დასჯის შემდეგი ზომები:

ა) გაკიცხვა კოლექტივის, აღმზრდელის, დირექტორის მოადგილის სასწავლო სააღმზრდელო დარგში და დირექტორის მიერ;

ბ) სიტყვიერი საყვედურის გამოცხადება ჯგუფის წინაშე აღმზრდელის; დირექტორის მოადგილის და დირექტორის მიერ;

გ) პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე აღსაზრდელის გამოძახება;

დ) დირექტორის საყვედური ბრძანებით საბავშვო სახლისადმი;

ე) დირექტორის გაფრთხილება აღსაზრდელის სპეციალურ სააღმზრდელო დაწესებულებაში გადაგზავნის შესაძლებლობის შესახებ;

ვ) აღსაზრდელთა გადაგზავნა სპეციალურ სააღმზრდელო დაწესებულებაში პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე (პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება უნდა დაამტკიცოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ).

### თ ა მ ი IV

#### ბავშვთა ორგანიზაციები

25. თითოეულ საბავშვო სახლში პიონერული ასაკის აღსაზრდელთათვის ყალიბდება პიონერული რაზმეული.

პიონერული რაზმეული მუშაობს ალკკ რაიონული და საქალაქო კომიტეტების ხელმძღვანელობით. ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ საქ. ალკკ ყრილობების დადგენილებათა და შიითიებათა საფუძველზე.

26. პიონერული რაზმეულის მუშაობა საბავშვო სახლში იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ გაუწიოს დახმარება პედაგოგებს ბავშვთა კომუნისტური აღზრდის ამოცანების განხორციელებაში.



27. საბავშვო სახლის პიონერული რაზმეულის სამუშაო განიხილავს პედაგოგიური საბჭო და ამტკიცებს დირექტორი.

28. საბავშვო სახლის პიონერული რაზმეული თავის მუშაობას აწარმოებს იმ სკოლის პიონერულ რაზმეულთან მჭიდრო თანამშრომლობით, რომელშიაც საბავშვო სახლის აღსაზრდელები სწავლობენ.

29. საბავშვო სახლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო დარგში და აღმზრდელები ხელს უნდა უწყობდნენ პიონერების ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარებას, ყოველდღიურ დახმარებას უნდა უწყვედნენ პიონერულ რაზმს და ქმნიდნენ აუცილებელ პირობებს მისი ნაყოფიერი მუშაობისათვის.

30. საბავშვო სახლის აღსაზრდელები—აღკაწვევები, პრაქტიკულ დახმარებას უწყვენ საბავშვო სახლის პიონერულ რაზმეულს.

31. სკოლის ასაკის ბავშვთა თითოეულ საბავშვო სახლში ყალიბდება ბავშვთა საბჭო.

ბავშვთა საბჭო ორგანიზდება და მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სპეციალური დებულების საფუძველზე.

32. ბავშვთა საბჭოს საბავშვო სახლში ხელმძღვანელობს უშუალოდ დირექტორი.

33. ბავშვთა საბჭო:

ა) ეხმარება პედაგოგიურ კოლექტივს, რომ აღზარდოს ბავშვებში შეგნებული დისციპლინა, როგორც საბავშვო სახლში, ისე სკოლაში, ეხმარება საზოგადოებრივი ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარებაში. კულტურული ქცევის ჩვევათა დანერგვაში ბავშვთა შორის და ყველა აღსაზრდელის დარაზმვაში მეგობრულ და შეგნებულ კოლექტივად;

ბ) უზრუნველყოფს ბავშვების მონაწილეობას საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურული ღონისძიებების მომზადებასა და ვატარებაში;

გ) იზიდავს აღსაზრდელებს მონაწილეობა მიიღონ სამეურნეო ღონისძიებების ვატარებაში, რომლებიც მიმართულია საბავშვო სახლის კეთილმოწყობისა და მასში წესრიგისა და მყუდროების შექმნისაკენ;





დ) ხელმძღვანელობს ჯგუფების მამასახლისთა მუშაობას, რეთვე იმ კომისიებისას, რომლებიც იქმნება ბავშვთა საბჭოსთან, აწესებს უფროსი აღსაზრდელების მორიგეობას მორიგე აღმზრდელების დასახმარებლად;

ე) აძლევს საზოგადოებრივ დავალებებს როგორც ცალკე აღსაზრდელებს ისე აღსაზრდელთა ჯგუფებს;

ვ) ახდენს ამხანაგურ ზეგავლენას ცალკეულ აღსაზრდელებზე, რომლებიც არღვევენ საბავშვო სახლსა და სკოლაში დადგენილ წესებს.

35. ბავშვთა საბჭო თავის სამუშაო გეგმას უფარდებს პიონერული რაზმეულის სამუშაო გეგმას, ბავშვთა საბჭოს სამუშაო გეგმას ამტკიცებს საბავშვო სახლის დირექტორი.

თ ა ვ ი

საბავშვო სახლის თანამდებობის პირები

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი

35. საბავშვო სახლის დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს საქ. სსრ განაკლების სამინისტრო.

36. საბავშვო სახლის დირექტორს უნდა ჰქონდეს უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ 3 წლისა.

37. საბავშვო სახლის დირექტორი ვალდებულია შინაკონტროლი და ხელმძღვანელობა საბავშვო სახლის პედაგოგიური კოლექტივის მუშაობაზე წარმართოს იმ მიმართულებით, რომ მთელი საწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა აღსაზრდელებთან აგებულ იქნეს საბჭოთა პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის უახლესი მიღწევების საფუძველზე. ამის შესაბამისად საბავშვო სახლის დირექტორი:

ა) აორგანიზებს პედაგოგიური კოლექტივის სისტემატურ მუშაობას და ეწევა აღმზრდელობითი მუშაობის პრინციპული საკითხების შესწავლისათვის, ცდების და დაკვირვებების დაყენებას აღმზრდელობითი პრაქტიკის ცალკეულ საკითხებზე და შედეგების განზოგადებას პედაგოგთა თათბირებზე, სპეციალურ სემინარებზე, აღმზრდელთა მეთოდურ გაერთიანებებზე, კოლექტიურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებზე;

ბ) აორგანიზებს საბავშვო სახლის პედაგოგიური კოლექტივის მიერ მოწინავე საბავშვო სახლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლების კოლექტივებისა და ცალკეული მუშაკების გამოცდილების შესწავლას და პრაქტიკაში დანერგვას;

გ) ატარებს ღონისძიებებს საბავშვო სახლის პედაგოგთა ჩამოსათვის დახელოვნების კურსებზე, პედაგოგიურ კითხვებზე, დაუსწრებელ პედაგოგიურ სწავლებაში მეთოდურ კონფერენციებზე და ა. შ.

დ) ქმნის საბავშვო სახლში ყველა პირობას იმისათვის, რომ საბავშვო სახლში აღსაზრდელთა ურთიერთშორის და თანამშრომელთა აღსაზრდელებთან დამოკიდებულება, მათი ყოფაქცევის, შრომა-საქმიანობის და დასვენება-გართობის შინაარსი და ორგანიზაცია მაქსიმალურად იქნეს აგებული ნობელიური, გულთბილი და გულსხმიერი ურთიერთობის საფუძველზე, რომ აღსაზრდელი საბავშვო სახლში თავს გრძნობდეს როგორც მშობლიურ ოჯახში;

ე) უზრუნველყოფს საბავშვო სახლში ყოფაცხოვრების და შრომა-საქმიანობის საკითხებს პრაქტიკულად მოწესრიგებას, საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნას, როგორცაა: რეჟიმი, შინაგანაწესი, მეოთხედური და ყოველდღიური მუშაობის გეგმები, თვითმომსახურებრივი და საზოგადოებრივი შრომის დაგეგმვა; აქტიურად მონაწილეობს ბავშვთა ორგანიზაციების საქმიანობაში.

38. საბავშვო სახლის დირექტორი იმ სკოლის პედაგოგიური საბჭოს წევრია, სადაც სწავლობს საბავშვო სახლის აღსაზრდელთა უმრავლესობა, და იღებს აქტიურ მონაწილეობას სკოლის პედაგოგიური საბჭოს მუშაობაში.

39. დირექტორი ყოველდღიურ დახმარებას უწევს პიონერულ ორგანიზაციას მუშაობაში, მონაწილეობს რაზმეულის საბჭოსა და რაზმეულის შეკრების ორგანიზებულად მომზადებასა და ჩატარებაში, ამტკიცებს პიონერული რაზმეულის სამუშაო გეგმას.

40. დირექტორს სისტემატური კავშირი აქვს საბავშვო სახლიდან გამოშვებულ აღსაზრდელებთან, თვალყურს ადევნებს მათ სწავლას და საწარმოო კვალიფიკაციის მიღებას.

41. დირექტორი ვალდებულია დაიცვას საბავშვო სახლის აღსაზრდელთა პირადი და ქონებრივი უფლებები და ინტერესები.



42. დირექტორი არის საბავშვო სახლისათვის გამოყოფილი კრედიტების განმკარგულებელი და უზრუნველყოფს თანხების სწორ ხარჯვას საშტატო განრიგისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

43. დირექტორს უფლება აქვს:

ა) წარადგინოს განათლების ზემდგომ ორგანოებში დაქვემდებარების მიხედვით კანდიდატები დირექტორის მოადგილის, აღმზრდელის, უფროსი პ/ხელმძღვანელის, წრეების ხელმძღვანელთა, შრომის ინსტრუქტორის, მეურნეობის გამგის, ბუღალტერის ვაკანტურ ადგილებზე დასამტკიცებლად, ან საჭიროების შემთხვევაში მათ გასათავისუფლებლად;

ბ) მიიღოს სამუშაოზე და დაითხოვოს საბავშვო სახლის მომსახურე პერსონალი დადგენილი წესის მიხედვით;

გ) გამოუცხადოს მაღლობა საბავშვო სახლის მუშაკებს, დადგენილი წესით წარმოადგინოს აღმზრდელები და დირექტორის მოადგილე მთავრობის ჯილდოზე.

დ) დაადოს ადმინისტრაციული სასჯელი თანამშრომლებს შრომის დისციპლინის დარღვევისათვის.

44. საბავშვო სახლის დირექტორის განკარგულებანი სავალდებულოა საბავშვო სახლის ყველა თანამშრომლისათვის და შეიძლება ის გაუქმებულ იქნეს მხოლოდ განათლების ზემდგომი ორგანოების მიერ.

45. საბავშვო სახლის დირექტორი ყოველმხრივ ეხმარება მუშაობაში საბავშვო სახლის პროფესიულ ორგანიზაციას.

**დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო დარგში**

46. დირექტორის მოადგილეს სასწავლო-სააღმზრდელო დარგში ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აჭარის, აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება საბავშვო სახლის დაქვემდებარების მიხედვით—დირექტორთან შეთანხმებით.

47. საბავშვო სახლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო დარგში ინიშნება იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 3 წლისა.

48. დირექტორის მოადგილე პასუხისმგებელია სააღმზრდელო მუშაობის დაყენებაზე საბავშვო სახლში. ის ინსტრუქტაჟს და კონტ-





როლს უწევს აღმზრდელებს, წრეების ხელმძღვანელებს, მუშაკებს, ინსტრუქტორებს, უფროს პ/ხელმძღვანელს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში. სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობას წარმართავს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნეს შეგნებული დისციპლინა, აღსაზრდელთა მალალი აკადემიური მოსწრება და მათი აქტიური მონაწილეობა სკოლის გარეშე, კულტურულ-მასობრივსა და სასპორტო-ფიზკულტურულ მუშაობაში, ეხმარება მუშაობაში ბავშვთა საბჭოს და პიონერთა ორგანიზაციას, თვალყურს ადევნებს აღსაზრდელთა პირადი საქმეების სწორად წარმოებას, განაზოგადებს საბავშვო სახლის აღსაზრდელთა მუშაობის გამოცდილებას. აწყობს გამოცდილების გაზიარებას როგორც საბავშვო სახლის შიგნით, ისე მის გარეთ, საბავშვო სახლის დირექტორის არყოფნის დროს ასრულებს მის მოვალეობას.

**საბავშვო სახლის აღმზრდელები**

49. საბავშვო სახლის აღმზრდელებს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აქარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება (დაქვემდებარების მიხედვით) განათლების განყოფილების წარდგენით, დირექტორის შეთანხმების შემდეგ.

50. საბავშვო სახლის აღმზრდელი:

ა) ატარებს ყოველდღიურ აღმზრდელობით მუშაობას მასზე ჩაბარებული ჯგუფის ბავშვებთან, ყოველმხრივ სწავლობს თითოეულ მათგანს, ზრუნავს მათზე, უზრუნველყოფს ბავშვთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სამშობლოს საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით;

ბ) პასუხისმგებელია ბავშვთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, ნერგავს ბავშვებში პირადი ჰიგიენის ჩვევებს, მონაწილეობას იღებს სათანადო პირობების შექმნაში ბავშვთა ფიზიკური განვითარებისა და აღზრდისათვის;

გ) ხელმძღვანელობს საშინაო დავალების შესრულებას აღსაზრდელების მიერ, ასწავლის მათ გაკვეთილების დამოუკიდებლად მონაზადებას, რეგულარულ კავშირშია კლასის ხელმძღვანელსა და მასწავლებლებთან;

დ) ატარებს თავისი ჯგუფის ბავშვებში სკოლის გარეშე მუშაობას, ნერგავს მათში შრომის ჩვევებსა და უნარს, აორგანი-



ზებს ბავშვების მონაწილეობას საზოგადოებრივ მუშაობაში გორც საბავშვო სახლში, ისე მის გარეთ;

ე) ზრდის ბავშვებში სათუთ დამოკიდებულებას სოციალისტური საქუთრებისა და პირადი სარგებლობის საგნებისადმი;

ვ) უწყვეს ყოველდღიურ დახმარებას პიონერულ რაზმეულს, მონაწილეობს პიონერული რაზმების სამუშაო გეგმის შედგენაში, რაზმეულის საბჭოსა და რაზმების შეკრების მომზადებასა და ჩატარებაში;

ზ) ადგენს ბავშვებთან მუშაობის გეგმებს და მათი შესრულების ანგარიშებს.

### საბავშვო სახლის უფროსი პიონერხელმძღვანელი

51. უფროსი პიონერხელმძღვანელს ნიშნავს და ათავისუფლებს სამუშაოდან საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების და რაიონების განათლების განყოფილება, საქართველოს ალკკ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შეთანხმებით.

52. უფროსი პიონერხელმძღვანელი ინიშნება იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ პედაგოგიური განათლება და ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება.

53. უფროსი პიონერხელმძღვანელი მუშაობს საქართველოს ალკკ საქალაქო და რაიონული კომიტეტების, საბავშვო სახლის დირექტორისა და მისი მოადგილის სასწავლო-სააღმზრდელო დარგში ხელმძღვანელობისა და კონტროლის ქვეშ.

54. უფროსი პიონერხელმძღვანელი ხელმძღვანელობს საბავშვო სახლის პიონერული რაზმეულის მუშაობას საბავშვო სახლის დირექტორის მიერ დამტკიცებული პიონერული მუშაობის გეგმის საფუძველზე.

### შრომის ანატრუქტორი

55. შრომის ინსტრუქტორს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილება (საბავშვო სახლის დაქვემდებარების მიხედვით), დირექტორთან შეთანხმების შედეგად.



56. შრომის ინსტრუქტორი ინიშნება თავის სპეციალობაში კვალიფიკაციის მქონე პირთაგან, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება.

57. შრომის ინსტრუქტორი:

ა) ახორციელებს სისტემატურ შრომითს აღზრდასა და სწავლებას დადგენილი პროგრამების მიხედვით;

ბ) პასუხისმგებელია სახელოსნოს მოწყობილობის დაცვაში, მასალის რაციონალურად დაზოგვით ხარჯვაში; აწარმოებს სახელოსნოს საინვენტარო და მატერიალურ წიგნს;

გ) ადგევს შრომითი აღზრდისა და სწავლების გეგმებს და ჩატარებული მუშაობის ანგარიშებს შემოღებული წესის მიხედვით.

### ექიმი და ექთანი

58. ექიმსა და ექთანს ნიშნავს და ათავისუფლებს სამუშაოდან საქართველოს სსრ, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებები ჯანმრთელობის ორგანოების წარდგენით, საბავშვო სახლის დაქვემდებარების მიხედვით — დირექტორთან შეთანხმებით.

59. ექიმი პასუხისმგებელია აღსაზრდელთა ჯანმრთელობაზე, იგი სისტემატურად აწარმოებს საბავშვო სახლში. საჰკურნალო-პროფილაქტიკურ მუშაობას. საბავშვო სახლში ატარებს აღსაზრდელთა ღრმა საექიმო შემოწმებას ორჯერ წელიწადში, ლებულობს ზომებს ავადმყოფი აღსაზრდელების დროული ჰოსპიტალიზაციისათვის; კონტროლს უწევს ბავშვთა შრომით დატვირთვას და მათ მიერ დღის რეჟიმის დაცვას, აღსაზრდელების კვების ხარისხს, საბავშვო სახლის ყველა შენობისა და მისი ნაკვეთის სანიტარულ მდგომარეობას.

საბავშვო სახლის ექიმის დამხმარედ ინიშნება ექთანი, რომელიც ასრულებს სამუშაოს მისი მითითებით.

### 8 5 9

60. საბავშვო სახლის მნეს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ, აჭარის და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროები და სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების

განათლების განყოფილება (დაქვემდებარების მიხედვით) საბავშვო სახლის დირექტორის წარდგენით.

მე უზრუნველყოფს:

ა) ქონების დაცვას და მის წესიერ გამოყენებას, საბავშვო სახლის შენობებსა და ტერიტორიაზე აუცილებელი სანიტარული პირობების დაცვას, შენობის, დგამისა და სხვა ინვენტარის შეკეთებას, კვების პროდუქტების, ტანისამოსის, სათამაშოების, სახელოსნოებისათვის მასალის დროულად შეძენას და ადგილზე მიტანას;

ბ) მომსახურე პერსონალის მუშაობაზე ხელმძღვანელობასა და კონტროლს, ხანძარსაწინააღმდეგო ზომების გატარებას.

**ბ უ ხ ჰ ა ლ ტ ე რ ი**

61. საბავშვო სახლის ბუხჰალტერს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ, აჭარისა და აფხაზეთის განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქისა, ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილება (საბავშვო სახლის დაქვემდებარების მიხედვით).

62. საბავშვო სახლის ბუხჰალტერი აწარმოებს მატერიალურ-ფინანსურ აღრიცხვასა და ანგარიშგებას, დირექტორის თანაბრად პასუხისმგებელია ფულადი სხსრების სწორად ხარჯვასა და მატერიალურ-ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე.

**მომსახურე პერსონალი**

63. მომსახურე პერსონალს ნიშნავს და ათავისუფლებს საბავშვო სახლის დირექტორი.

64. მომსახურე პერსონალის ვალდებულებებს განსაზღვრავს საბავშვო სახლის დირექტორის მიერ დამტკიცებული და პროფესიულ ორგანიზაციასთან შეთანხმებული შინაგან-წესი.

65. საბავშვო სახლის მთელი პერსონალი სამ თვეში ერთხელ გადის სამედიცინო შემოწმებას, სამზარეულოს მუშაკები კი ყოველთვიურად.

**თ ა ვ ი VI**

**პედაგოგიური საბჭო**

66. თითოეულ საბავშვო სახლში იქმნება პედაგოგიური საბჭო, პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: საბავშვო სახ-



ლის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე), დირექტორის მოადგილე სასწავლო სააღმზრდელო დარგში, უფროსი პიონერხელმძღვანელი, აღმზრდელები, შრომის ინსტრუქტორები, საწრეო მუშაობის ხელმძღვანელები, საბავშვო სახლის ექიმი, მნე, იმ სკოლის დირექტორი, რომელშიაც სწავლობენ საბავშვო სახლის აღსაზრდელები და მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე.

67. პედაგოგიური საბჭოს ამოცანას შეადგენს: ღონისძიებათა დასახვა, რომლებიც უზრუნველყოფს პარტიისა და მთავრობის დირექტივების, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებათა და ბრძანებათა შესრულებას საბავშვო სახლისა და სკოლის საერთო საკითხების განხილვა, აღმზრდელების, უფროსი პიონერხელმძღვანელის, წრეების ხელმძღვანელების, შრომის ინსტრუქტორებისა და საექიმო პერსონალის ანგარიშების მოსმენა და განხილვა, აღსაზრდელთა საექიმო შემოწმების შედეგებისა და ბავშვთა ჯანმრთელობის განმტკიცების ღონისძიებათა დასახვა, აღსაზრდელთა მიღებისა და გამოშვების საკითხების განხილვა, სააღმზრდელო და პიონერული მუშაობის საუკეთესო გამოცდილების განზოგადება და სხვა პედაგოგიური საკითხების გარჩევა.

საბავშვო სახლი და სკოლა პერიოდულად აწყობენ პედაგოგიურ საბჭოს გაერთიანებულ სხდომებს.

68. საბავშვო სახლის პედაგოგიური საბჭო მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების მიხედვით.

თ ა ვ ი VII

მზრუნველთა საბჭო

69. თითოეულ საბავშვო სახლთან არსდება მზრუნველთა საბჭო, რომელიც ყალიბდება და მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისი დებულების საფუძველზე.

თ ა ვ ი VIII

დაფინანსება, ანგარიშგება და საქმის წარმოება

70. თითოეულ საბავშვო სახლს აქვს თავისი წლიური ხარჯთა აღრიცხვა, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო.



როები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქის და რაიონის განათლების განყოფილება საბავშვო სახლების დაქვემდებარების მიხედვით.

71. საბავშვო სახლების გარდა საბავშვო სახლს შეუძლია ჰქონდეს სპეციალური საშუალებები, რომლებსაც ხარჯავს დადგენილი წესის შესაბამისად.

72. საბავშვო სახლის ყველა ქონებრივ-მატერიალური ფასეულობა (შენობები, მოწყობილობა, ტანისაცმისი და სხვ.) სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს. ქონებრივ-მატერიალურ ფასეულობათა დაცვაზე პერსონალურად პასუხისმგებელი არიან დირექტორი და მატერიალურად პასუხისმგებელი სხვა პირები.

73. საბავშვო სახლი აწარმოებს:

- ა) ბრძანების წიგნს;
- ბ) აღსაზრდელთა მოძრაობის წიგნს;
- გ) აღსაზრდელთა პირად საქმეებს;
- დ) საბავშვო სახლის თანამშრომელთა პირად საქმეებს;
- ე) საბავშვო სახლის სანიტარულ ჟურნალს; საბავშვო სახლის მორიგეობის ჟურნალს;
- ვ) ბავშვის ინდივიდუალურ რუკას სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული № 26 ფორმის მიხედვით;
- ზ) საკონტროლო სახანძრო ჟურნალს;
- თ) საქმლის გასინჯვის წიგნს;
- ი) საბავშვო სახლის დამთვალეირებელთა წინადადებების ჩასაწერ წიგნს;
- კ) საინვენტარო წიგნს;
- ლ) დადგენილი ნიმუშის მატერიალურ-ფინანსიური აღრიცხვის წიგნს;
- მ) დოკუმენტაციის (საქმიანი ქაღალდების) არქივს.

74. დადგენილ ვადებში საბავშვო სახლი წარუდგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებას დადგენილი ფორმის სტატისტიკურ ანგარიშებს, ფინანსიურ ანგარიშებს და საბავშვო სახლის მუშაობის ანგარიშს.

75. საბავშვო სახლი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით. მას აქვს დადგენილი ნიმუშის ბეჭედი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ.  
16 ივლისის ბრძანება № 810

**ნორჩ მხაზველთა მეოთხე რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა  
და მეხუთე კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ**

ნორჩ მხაზველთა მეოთხე რესპუბლიკური კონკურსი, რომელიც მიეძღვნა თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დაარსების 25 წლისთავს, ორგანიზებულად ჩატარდა. კონკურსზე წარმოდგენილმა ნახაზებმა და მოდელებმა საერთო მოწონება დაიმსახურა.

ნორჩ მხაზველთა კონკურსმა, რომელიც მთელი სასწავლო წლის მანძილზე მიმდინარეობდა, დიდად შეუწყო ხელი სკოლებში ხაზვის სწავლების კულტურის ამაღლებას, მოსწავლეებში შრომითი ჩვევებისა და ნებისყოფის სიმტკიცის გამომუშავებას, კიდევ უფრო გაიზარდა მათი ინტერესი ხაზვის შესწავლისადმი.

ნორჩ მხაზველთა კონკურსში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 61 რაიონისა და ქალაქის 537 სკოლის 7.303 მოსწავლემ. მათ რესპუბლიკურ კონკურსზე წარმოადგინეს 21.011 ნახაზი და 1.841 მოდელი. განსაკუთრებით კარგი ნამუშევრები წარმოადგინეს თბილისის, ქ. სოხუმის, ცხაკაიას, თელავის, ახალციხის, გორის, ცხინვალის, კასპის, ახალქალაქის განათლების განყოფილებებმა. სუსტად შესრულებული ნამუშევრები წარმოადგინეს ვანის, აბაშის, სამტრედიის, ზუგდიდის და ჩოხატაურის განათლების განყოფილებებმა.

აღსანიშნავია ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკური კონკურსის ორგანიზებულად და მაღალ ღონეზე ჩატარებისათვის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის (დირექტორი ჯ. კვარაცხელია), ნორჩ მხაზველთა კაბინეტის (გამგე ქ. გ. გიორგაძე) და საქართველოს სსრ ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინს-



ტიტუტის საინჟინერო გრაფიკის კათედრის (გამგე დოც. ს. ჭულაძე) მუშაობა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1 კონკურსზე საუკეთესოდ შესრულებული ნამუშევრების წარმოდგენისათვის დაჯილდოვდნენ:

**I ხარისხის დიპლომით**

- 1 მემარნიშვილი პეტრე დავითის ძე — თბილისის მე-4, საშუალო სკოლის XI კლასი
- 2: ჩიტიაშვილი მანანა გიორგის ასული — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის VIII კლასი
3. სოსელია მარინე ვალერიანის ასული — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის VIII კლასი
